

[Type here]

ავი ინფექცია/შიდსი, მისი გავრცელება საქართველოში, ინფორმირებულობის
დონე და დამოკიდებულება საზოგადოებაში

ელენე ელბაქიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ირმა ბურჯანაძე, ეპიდემიოლოგი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

[Type here]

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ელენე ელბაქიძე, 19.06.2021



„ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო როგორც სიმულაციური ნაშრომი კვლევის მეთოდების (თებერვალი, 2021) და აკადემიური წერის (სამაგისტრო საფეხური) კურსებზე ილიას სახელმწიფო ნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (ივნისი, 2021)“.

აბსტრაქტი

აივ ინფექცია დღესაც რჩება მსოფლიოსთვის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად. აივ ინფექციასთან/შიდსთან ბრძოლის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას დიდ პროგრესს მიაღწია მსოფლიომ, თუმცა, დღეს ისევ დგას ეს საკითხი მასშტაბური მოცულობით დღის წესრიგში. აივ ინფექცია/შიდსი პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში 1981 წელს აღიწერა, როგორც ერთ-ერთი იშვიათი და ახალი დაავადება, რომელიც ზედიზედ მამაკაცებში რამდენჯერმე გამოვლინდა. 1982 წელს კი ამერიკაში შიდსის, ამ ახალი და ყველასთვის უცნობი დაავადების, ოფიციალური რეგისტრაციაც მოხდა.

აივ ინფექციისა და შიდსის განმარტებები ერთმანეთისგან განსხვავებულია, რამდენადაც აივ ინფექცია, თავის მხრივ, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსს ნიშნავს, ხოლო შიდსი კი, შეძენილ იმუნოდეფიციტის სინდრომს გულისხმობს. სწორედ აივ ინფექციიდან გამომდინარეობს ის მდგომარეობა, რასაც შიდსი ეწოდება.

დღეს, შიდსის გავრცელების კუთხით, მსოფლიოში, თითქოს, სტაბილიზაცია შეინიშნება, თუმცა, ის მაინც მზარდი ხასიათის ეპიდემიად რჩება. აღსანიშნავია, რომ განვითარებად ქვეყნებში არაერთი მიზეზი არსებობს მისი გავრცელებისა. გაეროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2020 წელს 37,6 მლნ ადამიანი აივ ინფექცია/შიდსით ცხოვრობდა.

რაც შეეხება საქართველოს მასშტაბით არსებულ მდგომარეობას, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, 2020 წელს საქართველოში 8853 ადამიანი იყო დაავადებული აივ-ინფექციით. 2021 წლის დასაწყისიდან 2021 წლის 02 ივნისამდე კი მათ რიცხვს კიდევ 221 ადამიანი მიემატა.

მსგავს გლობალურ პრობლემასთან გასამკლავებლად აუცილებელია ნებისმიერ ადგილას საზოგადოების სრული ინფორმირებულობა და მათი მობილიზება. კვლევების ჩატარებით კი ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ კონკრეტული სეგმენტის

დამოკიდებულება და ინფორმირებულობის დონე აივ ინფექცია შიდსთან მიმართებაში. ამ შედეგების თვალსაჩინოება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შედეგების ინტერპრეტაცია და შედეგად, მომავალი სამოქმედო სტრატეგიების დაგეგმვა, მოგვცემს საშუალებას, რომ ეს პრობლემა რაც შეიძლება მალე გადაიჭრას.

მნიშვნელოვანია ყველას მხრიდან ამ საკითხის ირგვლივ პასუხისმგებლობის განაწილება, რაც დაგვეხმარება მსოფლიოს დავასრულოთ აივ ინფექცია/შიდსის ეპიდემია. მიზანი გახლავთ მოკლედ და მკაფიოდ მივიტანოთ მსოფლიოს მასშტაბით საზოგადოებამდე მთავარი დევიზი: „ შიდსი არ არის სასიკვდილო განაჩენი“ და „ აივ ინფექციის დროული დიაგნოსტიკა გადაარჩენს როგორც საკუთარ, ისე სხვის სიცოცხლეს“.